განკუთვნილია იმ საარჩევნო უბნისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდება

(ასახულია ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების გამოყენების გარეშე კენჭისყრის გაგრძელების პროცესი)

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრა იმართება 2023 წლის 29 აპრილს, 08:00 საათიდან 20:00 საათამდე

თუ კენჭისყრის პროცესი მიმდინარეობს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის გარეშე, კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებთ შემდეგი პროცედურების დაცვით:

ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა.



კენჭისყრის შენობაში არ დაიშვებით და კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არ მოგეცემათ, თუ:

- ✔ არ წარადგენთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს;
- ✔ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება.

ნაკადის მომწესრიგებლის მითითებით კენჭისყრის ოთახში მიდით იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც შეესაბამება თქვენი გვარის პირელი ასო.

რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.



გაიკეთეთ მარკირება რეგისტრატორთან.

კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არ მოგეცემათ, თუ უარს აცხადებთ მარკირებაზე.

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა.

რეგისტრატორისგან მიიღეთ საარჩევნო ბიულეტენი და ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტი.

გადმოცემულ საარჩევნო ბიულეტენზე, რეგისტრატორის მითითებით, სპეციალური მარკერით გააფერადეთ საცდელი წრე.

უსინათლო ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შესავსებად შეუძლია რეგისტრატორისგან მიიღოს სპეციალური ჩარჩო-ფორმა.
მცირემხედველ ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შესავსებად შეუძლია რეგისტრატორისგან მიიღოს გამადიდებელი ლინზა.
ყრუ ამომრჩეველს ხმის მიცემის პროცედურაზე ინფორმაციის მისაღებად შეუძლია ისარგებლოს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორის მომსახურებით, ცესკოს ვებგვერდზე რეგისტრაციის გავ-ლის შემდეგ.

ფარული კენჭისყრის კაბინაში, სპეციალური მარკერით საარჩევნო ბიულეტენში გააფერადეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტის წინ არსებული წრე. შევსებული საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ ხმის მიცემისთვის განკუთვნილ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში.

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა. თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი.

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში.

ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატისა და სპეციალური ჩარჩო-კონვერტების ზედამხედველი, საჭიროების შემთხვევაში, გაგიწევთ დახმარებას ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების პროცესში.

მას შემდეგ, რაც საარჩევნო ბიულეტენი აღმოჩნდება საარჩევნო ყუთში, დადეთ ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტი საამისოდ განკუთვნილ მაგიდაზე და დატოვეთ საარჩევნო უბანი.

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

ადაპტირებულია ჟესტურ ენაზე
და გახმოვანებულია უსინათლო
პირებისთვის